

FROGEE-ის პოლიტიკის ნარკვევი 3 დასკვნები საქართველოდან

მარტი, 2021

რატომ არიან ქალები პოლიტიკაში ნაკლებად
წარმოდგენილები?

პამელა კამპა, SITE

ქალების პოლიტიკური გაძლიერება: რა არის საქართველოს
მთავარი დაბრკოლება გენდერული თანასწორობის მიღწევის
პროცესში?

დავით კეშელავა, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სალომე დეისაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
ლევან თევდორაძე, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

აბსტრაქტი

რატომ არიან ქალები პოლიტიკაში ნაკლებად წარმოდგენილები?

გვ. 3-8

მსოფლიოში, როგორც წესი, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიტიკაში. ეს ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაღალი თანამდებობების შემთხვევაში. ამ პოლიტიკის ნარკვევში ავტორი მიმოიხილავს აკადემიურ ლიტერატურას ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით, რომლებიც ქალების ნაკლები წარმომადგენლობის შესაძლო მიზეზებს იკვლევს. ზოგად კონტექსტში თუ განვიხილავთ, ლიტერატურაში ეს მიზეზები „მიწოდების“ და „მოთხოვნის“ მხარის ფაქტორებად იყოფა. „მიწოდების“ მხარის ფაქტორებს შორისაა ქალების პოტენციურად ნაკლები სურვილი, გახდნენ პოლიტიკოსები; „მოთხოვნის“ მხარეს კი ამომრჩეველთა და პარტიების ლიდერთა მიკერძოება შეგვიძლია დავასახელოთ. პოლიტიკაში ქალების ნაკლები წარმომადგენლობის პრობლემის ძირეული მიზეზების გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია გენდერული სხვაობის აღმოფხვრისკენ მიმართული პოლიტიკის ეფექტური ალტერნატივების შემუშავებისთვის. ნარკვევის დასკვნით ნაწილში ავტორი აჯამებს წარდგენილ თუ უკვე გატარებულ ქალთა გაძლიერების პოლიტიკის რიგ ალტერნატივებს და, მონაცემების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მათ ეფექტიანობასაც აანალიზებს.

ქალების პოლიტიკური გაძლიერება: რა არის საქართველოს მთავარი დაბრკოლება გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში?

გვ. 9-13

ამ ნარკვევში ავტორები მიმოიხილავენ უახლეს კვლევებს ქართულ პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობაზე, მათ შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. ავტორებმა დაადგინეს, რომ 2020 წელს გენდერული კვოტირების სისტემის შემოღებამ მცირედით გაზარდა პარლამენტში ქალების პროცენტული წილი. თუმცა ამ მექანიზმმა სასურველი შედეგი მაინც ვერ მოიტანა. ავტორები ამტკიცებენ, რომ გენდერულ განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის საჭიროა, გადაიჭრას როგორც „მიწოდების“, ისე „მოთხოვნის“ მხარის ფაქტორები, რაც ქართულ პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობაზე მოქმედებს. გრძელვადიან პერიოდში აღნიშნული პრობლემის გადაჭრისთვის შემზღვეველი გენდერული კვოტა უნდა შენარჩუნდეს და გაიზარდოს. გარდა ამისა, რეკომენდირებულია შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა, რათა დაიძლიოს საზოგადოებაში არსებული კულტურული სტერეოტიპები, და ქალებისთვის განკუთვნილი ლიდერთა ტრენინგ-პროგრამების დაფინანსება.



რატომ არიან ქალები პოლიტიკაში ნაკლებად წარმოდგენილები?

მსოფლიოში, როგორც წესი, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში. ეს ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მაღალი თანამდებობების შემთხვევაში. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული თანასწორობის ინდექსის ოთხი განზომილების (კერძოდ, ეკონომიკური შესაძლებლობები და ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილეობა, განათლების მიღება, ჯანმრთელობა და თვითგადარჩენა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერება) მიხედვით, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების განზომილების მაჩვენებელი, რომელიც ზომავს, თუ რამდენად არიან ქალები წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ყველაზე დაბალია და დღესდღეობით გენდერული სხვაობის მხოლოდ 25% არის აღმოფხვრილი.

მნიშვნელოვანია ის, რომ, მიუხედავად ქვეყნებს შორის დიდი ვარიაციისა, გენდერული უთანასწორობის საკითხი ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით აქტუალურია მთელ მსოფლიოში, მათ შორის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებშიც. მაგალითად, შვედეთს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტში ქალთა მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლები აქვს (ამჟამად პარლამენტის წევრთა 47.5%, მინისტრების 54.5% და მუნიციპალური საბჭოების წევრთა 43% ქალია), არასოდეს ჰყოლია ქალი პრემიერ-მინისტრი და მერების მხოლოდ ერთი მესამედია მდებარეობითი სქესის. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაში გენდერული სხვაობის 15%-ის აღმოფხვრა შეძლო, რაც

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, პროგრესის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია გენდერული თანასწორობის ინდექსის კომპონენტებს შორის.

პოლიტიკურ ინსტიტუტებში ქალები ნაკლებად არიან წარმომადგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად არიან ჩართული ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს. ამიტომ ეკონომისტები და პოლიტოლოგები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის კუთხით გენდერული უთანასწორობის გამომწვევი მიზეზებით. აღნიშნულ პოლიტიკის ნარკვევში შეჯამებულია ბოლო პერიოდის აკადემიური ლიტერატურა ზემოხსენებული საკითხების ირგვლივ და მიმოხილულია რამდენიმე პოლიტიკის ალტერნატივა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.

ცხრილი 1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული თანასწორობის ინდექსი. რეგიონებისა და კატეგორიების მიხედვით, 2020 წელი

	საერთო ქულა	ეკონომიკურ აქტივობებში მონაწილეობა და შესაძლებლობები	განათლების მიღება	ჯანდაცვა და თვითგადარჩენა	პოლიტიკური გაძლიერება
დას. ევროპა	0.767	0.693	0.993	0.972	0.409
ჩრდ. ამერიკა	0.729	0.756	1.000	0.975	0.184
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი	0.721	0.642	0.996	0.979	0.269
აღმ. ევროპა და ცენტრალური აზია	0.715	0.732	0.998	0.979	0.150



ად. აზია და წყნარი ოკეანის აუზი	0.685	0.663	0.976	0.943	0.159
სუბსაჰარული აფრიკა	0.680	0.666	0.872	0.972	0.211
სამხ. აზია	0.661	0.365	0.943	0.947	0.387
ახლო აღმოსავლეთი და ჩრდ. აფრიკა	0.611	0.425	0.950	0.969	0.102
მსოფლიო	0.685	0.582	0.957	0.958	0.241

შენიშვნა: გენდერული თანასწორობის გლობალური ინდექსი აფასებს ქვეყნის პროგრესს გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით განათლებითა და ჯანდაცვით უზრუნველყოფის, ასევე, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მიხედვით. ინდექსის საერთო ქულა ოთხი კომპონენტის შეუწონავ საშუალო მნიშვნელობას წარმოადგენს. 1 ქულა სრულ თანასწორობას შეესაბამება; ამის საწინააღმდეგოდ, რაც უფრო ახლოსაა ინდექსის მნიშვნელობა 0-თან, მით უფრო მაღალია გენდერული სხვაობა შესაბამის განზომილებაში. ად. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული საშუალო მაჩვენებელი გაანგარიშებულია მე-2 ცხრილში წარმოდგენილი 26 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით. აღნიშნული ცხრილი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის 2020 წლის ანგარიშის ავტორისეულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს (WEF, 2019 გვ. 22).

რატომ არიან ქალები ნაკლებად წარმოდგენილი პოლიტიკაში?

ზოგად კონტექსტში თუ განვიხილავთ, ყველაზე ხშირად სამ ძირითად მიზეზს ასახელებენ, კერძოდ: (1) ქალებს არ სურთ, გახდნენ პოლიტიკოსები (2) ამომრჩეველთა მიკერძოება და (3) პარტიათა მიკერძოება. მომდევნო თავში მიმოვიხილავ იმ კვლევების ნაწილს, რომლებიც თითოეულ ამ ფაქტორს იკვლევს.

გენდერული სხვაობა და პოლიტიკური ამბიციები

ფართომასშტაბიანმა გამოკითხვებმა დაადგინა, რომ ქალებს, რომელთაც პროფესიული და ეკონომიკური მდგომარეობა ხელს უწყობთ,

პოტენციური პოლიტიკური კანდიდატები იყვნენ, კაცებთან შედარებით ნაკლებად აქვთ წამყვანი პოლიტიკური პოზიციების დაკავების ამბიციები (Fox and Lawless, 2004). როგორც ჩანს, ამბიციებს შორის გენდერული სხვაობის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ქალებს (ა) კაცებზე ნაკლები მხარდაჭერა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და (ბ) ნაკლებად სჯერათ, რომ კაცებზე მეტი კვალიფიკაცია აქვთ ასეთი პოზიციების დაკავებისთვის.

ასეთ შედეგზე გავლენას შეიძლება ისიც ახდენდეს, რომ ქალები თავს არიდებენ კონკურენციას, პოლიტიკური შერჩევის პროცესი კი უაღრესად კონკურენტულია. პრისმა და სტოდარდმა (Preece and Stoddard, 2015) ჩაატარეს ორი ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ადამიანებს გააცნეს პოლიტიკის კონკურენტული ბუნება, რა დროსაც გამოიკვეთა, რომ ქალების პოლიტიკისადმი ინტერესი შემცირდა, კაცებზე კი ამ ინფორმაციას საერთოდ არ უმოქმედია.

ქალების სურვილზე, წარმატებას მიაღწიონ პოლიტიკურ კარიერაში, შეიძლება გავლენა მოახდინოს ოჯახურმა და ნათესაურმა ურთიერთობებმა. ფოლკისა და რიკნის (Folke and Rickne, 2020) ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში ნაჩვენებია, რომ შვედეთში პარტნიორთან განქორწინების ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება იმ ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში, რომლებიც მერის პოზიციაზე დაწინაურდნენ (რაც უმაღლესი თანამდებობაა მუნიციპალური პოლიტიკის დონეზე), კაცების შემთხვევაში კი ასე არ ხდება. თუ ქალებს კარიერული წინსვლისთვის დამატებითი საფასურის გადახდა უწევთ, როგორც ფოლკისა და რიკნის (2020) კვლევის შედეგებიდან ვხედავთ, მაშინ მათ შეიძლება ასეთ მიზნებზე უარი თქვან.



მართალია, კვლევები ადასტურებს, რომ საშუალოდ ქალებს უფრო ნაკლებად სურთ მაღალ პოზიციებზე დაწინაურება, ვიდრე კაცებს, მაგრამ მაინც ბუნდოვანია, როდენობრივად რამდენად რელევანტურია ეს ფაქტორი იმაში, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლიტიკაში. მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ შემოიღო კანდიდატთა სიაში გენდერული კვოტირების სისტემა, რაც შეიძლება ინფორმაციული იყოს ამ თვალსაზრისით. თუ ვუშვებთ, რომ ქალების ნაკლებობა საარჩევნო სიებში ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ კვალიფიციური ქალი პოლიტიკოსი ცოტაა, ზოგიერთმა საარჩევნო სიამ (უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული პოლიტიკური პარტიების) შეიძლება აღარ იმუშაოს კვოტირების შემოღების შემდეგ. სიების საშუალო „ხარისხი“ კი, რაც წევრების შესაბამისი მახასიათებლებით იზომება, შეიძლება დაეცეს. შესაბამის კვლევით ლიტერატურაში არ არსებობს მტკიცებულებები, რაც კვოტირების ამ შედეგებს დაადასტურებდა (იხ. Baltrunaite et al., 2014, Besley et al., 2017, Bagues and Campa, 2020). იტალიასა (Baltrunaite et al., 2014) და შვედეთში (Besley et al., 2017) კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ არჩეული პოლიტიკოსების სიის „ხარისხი“, პირიქით, გაუმჯობესდა კიდევ.

ამომრჩეველთა მიკერძოება

კრუკი იკვლევს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულებით არსებული კვლევების დასკვნები, რომლებიც პოლიტიკაში ქალების ნაკლები წარმომადგენლობის ახსნას ამომრჩეველთა მიკერძოებით ხსნიან, ურთიერთსაწინააღმდეგოა (Krook, 2018). ამ შეფასებას ადასტურებს უახლესი ეკონომიკური კვლევების შედეგებიც. ბარბანშონი და სუვენია (2019) ადარებენ საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში ერთი და იმავე ქალი კანდიდატის მიერ მიღებულ ხმებს საარჩევნო ოლქის სხვადასხვა უბანში და ადგენენ, რომ ქალი


კანდიდატებისთვის მიცემული ხმების რაოდენობა უფრო დაბალია იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც გენდერული როლების მიმართ უფრო ტრადიციული დამოკიდებულება აქვთ (Barbanchon and Sauvagnat, 2019). ამ შედეგს ავტორები ამომრჩეველთა დისკრიმინაციის მტკიცებულებად მიიჩნევენ და ასკვნიან, რომ ამომრჩეველთა მიკერძოება როდენობრივად მნიშვნელოვანია პოლიტიკაში ქალთა ნაკლები წარმომადგენლობის ახსნისას. მათგან განსხვავებით, ბაგუსი და კამპა (2020) ვერ ადასტურებენ ქალთა მიმართ ამომრჩეველთა მიკერძოების ფაქტს ესპანეთში საარჩევნო სიებში გენდერული კვოტის შემოღების მიმართ ამომრჩეველთა რეაქციაზე დაყრდნობით (Bagues and Campa, 2020). კერძოდ, ისინი იკვლევენ, თუ როგორ მოქმედებს კვოტა იმ პარტიული სიების საარჩევნო შედეგებზე, რომლებზეც კვოტამ უფრო დიდი გავლენა მოახდინა. ეს პარტიები იძულებულნი გახდნენ, ქალი კანდიდატების წილი უფრო მეტად გაეზარდათ, მათ პარტიაში კვოტის შემოღებამდე ქალი კანდიდატების რაოდენობის სიმცირის გამო. ავტორები ვერ ადასტურებენ, რომ კვოტის შემოღების შედეგად ამგვარი პარტიული სიების საარჩევნო შედეგები გაუარესდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ამომრჩეველი ამცირებს თავის მხარდაჭერას პარტიული სიების მიმართ, როცა ქალი კანდიდატების წილი ამ სიაში ეგზოგენური მიზეზების გამო იზრდება.

ამომრჩეველთა დამოკიდებულების შესახებ გამოკითხვის შედეგები შეიძლება დაგვეხმაროს იმის შეფასებაშიც, თუ რამდენად ახდენენ ამომრჩევლები ქალთა დისკრიმინაციას. მსოფლიო ღირებულებების კვლევის (WVS, 2017–2020) უახლესი მონაცემების საფუძველზე, დასავლეთ ევროპაში გამოკითხულთა 20%-ზე ნაკლები ეთანხმება მოსაზრებას „კაცები უკეთესი პოლიტიკური



ლიდერები ხდებიან, ვიდრე ქალები“ (მაგალითად, შვედეთში – 5%, დანიასა და გერმანიაში – 9%, ფინეთსა და საფრანგეთში – 12%, იტალიაში – 19%; ეს მაჩვენებელი მხოლოდ საბერძნეთში აღემატება 20%-ს და 26%-ს შეადგენს). შესაბამისი პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია აღმოსავლეთ ევროპასა და შუა აზიაში (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1. პროცენტული მაჩვენებელი იმ რესპონდენტებისა, რომლებიც აცხადებენ, რომ „ეთანხმებიან“ ან „ძლიერ ეთანხმებიან“ მოსაზრებას, რომ „კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან, ვიდრე ქალები“.



შენიშვნა: მონაცემები ეფუძნება მსოფლიო ღირებულებების კვლევის უახლეს, 2017-2020 წლების პუბლიკაციებს. შერჩეული ქვეყნები ან საბჭოთა კავშირის ყოფილი წევრები იყვნენ, ან 1990 წლამდე საბჭოთა კავშირის პირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ WVS-ზე პასუხები ყოველთვის ზუსტად არ ასახავს ქვეყანაში ამომრჩეველთა მიკერძოების არსებობის ხარისხსა და დონეს. როცა რესპონდენტთა პროცენტული წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან, ვიდრე ქალები, ახლოსაა ან მეტია 50%-ზე (მაგალითად, სომხეთში, საქართველოში და რუსეთში) ამომრჩეველთა მიკერძოება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თუმცა იმ ქვეყნებში (მაგალითად, პოლონეთში), სადაც რესპონდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნულ მოსაზრებას ეთანხმებიან, დაბალია, ამიტომ დასკვნის გაკეთება შედარებით რთულია, რადგან WVS არ აღრიცხავს იმ რესპონდენტების წილს, რომლებიც ფიქრობენ, რომ „ქალები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები ხდებიან, ვიდრე კაცები“.

პარტიათა მიკერძოება

პარტიების ლიდერებმა, რომლებიც, როგორც წესი, ირჩევენ პოლიტიკოსებს, შესაძლოა, უპირატესობა ქალ კანდიდატთან შედარებით კაც კანდიდატს მიანიჭონ. იმ დაშვებით, რომ მათ იციან ქალების მიმართ ამომრჩეველთა მიკერძოების შესახებ, კაც კანდიდატებზე უპირატესობის მინიჭება თანხვედრაშია ხმების მაქსიმიზაციის სტრატეგიასთან. თუმცა ამომრჩეველთა მიკერძოების არარსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია, პარტიის ლიდერებმა ხელი შეუშალონ ქალი კანდიდატების წინასვლას. ესტივ-ვოლარტი და ბაგუსი ესპანეთის არჩევნებზე დაკვირვებისას ამომრჩეველსა და პარტიებს შორის აგენტის პრობლემის არსებობას ადასტურებენ (Esteve-Volart and Bagues, 2012).

მიუხედავად იმისა, რომ პარტიები ქალ კანდიდატებს საარჩევნო ბიულეტენებზე შედარებით ცუდ პოზიციაზე ათავსებენ, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ქალები უფრო ნაკლებ ხმას იზიდავენ, ვიდრე კაცები; უფრო მეტიც, როცა კონკურენცია უფრო დიდია, ქალი კანდიდატების პოზიცია საარჩევნო ბიულეტენზე უმჯობესდება. ამ ორ ფაქტს ავტორები მიჰყავს დასკვნამდე, რომ ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა პოლიტიკაში შეიძლება განპირობებული იყოს არა ამომრჩეველთა, არამედ პარტიების მიკერძოებით.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ქალთა



სისტემურად ნაკლები წარმომადგენლობა პოლიტიკურ ინსტიტუტებში, სავარაუდოდ, თვითგანმტკიცებულა, ჯგუფში გენდერული დინამიკის გამო. ექსპერიმენტის დროს, გუნდში, სადაც კაცები ჭარბობენ, ქალები თავიანთ კანდიდატურას გუნდის ლიდერად უფრო ნაკლებად ასახელებენ, ვიდრე ისეთ გუნდში, სადაც ქალები უმრავლესობაში არიან; ისინი გუნდის წევრებისგან ნაკლებ მხარდაჭერას ელოდებიან და სწორადაც (Born et al., 2019). იტალიაში ქალი მერების გადაყენება მნიშვნელოვნად უფრო ხშირად ხდება მათი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ვიდრე კაცი მერების; რაც მთავარია, ეს სიმართლეს შეესაბამება განსაკუთრებით მაშინ, როცა კაცების წილი საკრებულოში მნიშვნელოვნად დიდია (Gagliarducci and Paserman, 2011). ეს კვლევები აჩვენებს, რომ, რადგან პოლიტიკაში ისტორიულად კაცები დომინირებდნენ, ჯგუფში გენდერულ დინამიკას შეუძლია შექმნას ქალთა ნაკლები წარმომადგენლობის მანკიერი წრე.

რომელმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება გაზარდოს ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ ინსტიტუტებში?

ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის განმაპირობებელი ბარიერების აღმოსაფხვრელად განსხვავებული მიდგომები არსებობს. მაგალითად, ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის ე.წ. „მიწოდების მხარის“ ასპექტის საპასუხოდ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია გეგმავს სხვადასხვა ტრენინგ პროგრამას, რათა მონაწილე ქალები აღიჭურვონ პოლიტიკური კარიერისთვის საჭირო ცოდნით, უნარებითა და ადამიანური კავშირებით. ამ პროგრამების ეფექტების შეფასება მოცემული დოკუმენტის მიზნებს მიღმაა, თუმცა ჩემ ხელთ არსებული ცოდნით, ისეთი კვლევითი მტკიცებულებები, რომლებიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე

ამგვარი პროგრამების რაოდენობრივ გავლენას შეაფასებდა, მწირია ან არ არსებობს. ტრენინგ პროგრამების ეფექტების სისტემური შესწავლისთვის მკვლევარებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა, შესაძლოა, ნაყოფიერად ითანამშრომლონ.

ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად პარტიული სიების გენდერული ნიშნით კვოტირება ყველაზე ხშირად გამოყენებული ინტერვენციაა; ამ ინტერვენციის ეფექტები სიღრმისეულად არის შესწავლილი. მათი დიზაინისა და იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც მათ იყენებენ, კვოტები მეტნაკლები წარმატებით ახერხებს ქალთა გაძლიერებას და უფლებებით აღჭურვას (იხ. კამპა და ჰაუსერი, 2020 გენდერულ კვოტებსა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ იმპლიკაციებზე არსებული ეკონომიკური ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვისთვის (Campa and Hauser 2020)). კვოტირების ნიუანსების გათვალისწინებით, იმ ქვეყნებმა თუ რეგიონებმა, რომლებიც კვოტირების შემოღებას აპირებენ, საკითხის ექსპერტებთან ერთად უნდა დაგეგმონ აღნიშნული ინტერვენცია.

პოლიტიკური პარტიების სტრუქტურასა და მათში არსებულ ძალთა გადანაწილებას, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე. თეორიულად, პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი უნდა შეუწყონ მათ შიგნით კავშირების ფორმირებას და წევრებს უნდა შესთავაზონ მენტორული სერვისები პოლიტიკაში კარიერული წინსვლისთვის. შვედეთში როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ფლანგის წარმომადგენელი ქალები სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაემუქრნენ ფემინისტური პარტიის შექმნით და ამ ფორმით აიძულეს შიდაპარტიული კვოტების შემოღება (Besley et al., 2017). პოლიტიკური პარტიის შიგნით ქალთა ფრთას მსგავსი ზეწოლის



განხორციელება შეუძლია. კანტოლა აღნიშნავს, რომ ქალთა ორგანიზაციების არსებობა ევროპის პარტიებში დრომოქმულ პრაქტიკად მიიჩნევა (Kantola 2018); ამგვარი ორგანიზაციების მიმართ ჩამოყალიბებული სკეპტიკური დამოკიდებულების საპირისპიროდ კი ჩილდისი და კიტისონი მიიჩნევენ, რომ ქალთა ორგანიზაციების არსებობა პარტიებში ქალების ხელმძღვანელ პოზიციებზე დაწინაურებას ხელს არ უშლის (Childis and Kittilson 2016). იმ ქვეყნებში, რომლებშიც პარტიები საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ, პარტიების შიგნით ქალთა ორგანიზაციების დასაფინანსებლად შესაძლოა დამატებითი ფონდებიც გამოიყოს.

ფოლკი და რიკნი (Folke and Rickne, 2020) იმასაც აღნიშნავენ, რომ მაღალ პოლიტიკურ პოზიციებზე წარმოდგენილ ქალებს უფრო მეტი ნათესაური და ოჯახური შეზღუდვები აქვთ, ვიდრე კაცებს, ამიტომ წყვილებს შორის ეკონომიკური როლების განაწილების გაუმჯობესებისკენ მიმართული პოლიტიკის გატარებამ შეიძლება გადაჭრას წამყვან პოლიტიკურ პოზიციებზე ქალების ნაკლები წარმომადგენლობის პრობლემა; მათი დაკვირვებით, გენდერული როლებისადმი დამოკიდებულება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან მოქმედებს ქალების გაძლიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობაზე. როგორ უნდა შეიცვალოს ეს დამოკიდებულებები? სულ უფრო მეტი კვლევა ცდილობს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. მაგალითად, კამპასა და სერაფინელის (Campa and Serafinelli, 2019) კვლევამ აჩვენა, რომ შრომის ბაზარზე ქალების ჩართულობის გაძლიერებისკენ მიმართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეჟიმს შეუძლია შეცვალოს ზოგიერთი ასეთი დამოკიდებულება. იმედია, მეტი კვლევა ჩატარდება სხვადასხვა კონტექსტსა და პოლიტიკის ალტერნატივაზე, რაც დაეხმარება პოლიტიკის შემქმნელებს, უკეთ იმუშაონ ამ მიმართულებით. თუმცა უკვე

არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერული როლებისადმი დამოკიდებულების შეცვლა შესაძლებელია, ამიტომ პოლიტიკის შემქმნელებმა ისეთ ინტერვენციებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რომლებიც ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას.

ბევრ დასავლურ დემოკრატიაში ქალებს დიდი ხანი დასჭირდათ იმისთვის, რომ უმაღლეს პოლიტიკურ პოზიციებზე წვდომა მოეპოვებინათ. ამ ქვეყნების გამოცდილება და წახალისების მექანიზმები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, შეიძლება კარგი მაგალითი იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ ეტაპს ახლა გადიან, სადაც ახლა ყალიბდება პოლიტიკური ორგანიზაციები და ინსტიტუტები. პოლიტიკური იერარქიის შედარებით დაბალ დონეზე ქალების ნაკლები წარმომადგენლობის პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული პოლიტიკის არარსებობა ნიშნავს, რომ გაცილებით დიდი დრო დასჭირდება ამ პრობლემის იერარქიის შედარებით მაღალ დონეზე გადაჭრას.


დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დადებითი დინამიკის შემთხვევაშიც კი პოლიტიკურ ინსტიტუტებში გენდერული სხვაობის მუდმივი მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რადგან პროგრესი იშვიათადაა სწორხაზოვანი და, შესაბამისად, მუდმივი ხელშეწყობა სჭირდება.



ქალების პოლიტიკური გაძლიერება: რა არის საქართველოს მთავარი დაბრკოლება გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში?

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული თანასწორობის ინდექსის მიხედვით, საქართველო ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის კუთხით 95-ე ადგილს იკავებს 153 სახელმწიფოს შორის (0.154 ქულით შესაძლო მაქსიმალური 1 ქულიდან). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაჩვენებელი მცირედით აჭარბებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს საშუალო ქულას (0.241).

გრაფიკი 1. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული თანასწორობის ინდექსის ქვეკომპონენტები




წყარო: WEF, 2020.

გენდერული თანასწორობის ინდექსის ქვეკომპონენტებს შორის ყველაზე დაბალია ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის მაჩვენებელი (იხ. გრაფიკი 1). პოსტ-საბჭოთა ქვეყნებსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის

საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი ქალების პროცენტული წილის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს (საქართველო – 14.2%, სომხეთი – 23.5%, აზერბაიჯანი – 17.4%, საპარლამენტაშორისო კავშირი, 2020). თუმცა მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით (როცა ქალების პროცენტული წილი 6.4% იყო; იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2. საქართველოს პარლამენტის წევრი ქალების პროცენტული წილი 1990-2019



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რა შეიცვალა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში?

საქართველოში ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა, არჩევნების მეორე ტური კი 2020 წლის 21 ნოემბერს დასრულდა. ამ არჩევნებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება პარტიულ სიებში გენდერული კვოტის შემოღება იყო. კვოტა მოითხოვდა, რომ პარტიულ სიაში მინიმუმ ყოველი მეოთხე კანდიდატი ქალი ყოფილიყო. ეს მოთხოვნა არ ვრცელდებოდა მაჟორიტარობის კანდიდატებზე ერთმანდატიან ოლქებში (150 ადგილიდან 30). პროპორციულ-პარტიული სიების 6882 კანდიდატს შორის 44.3% (3049) ქალი იყო, მაჟორიტარობის კანდიდატებს შორის კი მხოლოდ – 21.75% (492 კანდიდატიდან 107).

ჯამში, პარლამენტში 30 ქალი აირჩიეს (20%). მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი აღემატება წინა არჩევნების მაჩვენებელს (16% გენდერული კვოტის გარეშე), ის მაინც ჩამოუვარდება



მიზნობრივ 25%-ს, რომელიც კვოტით იყო გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ 29 ქალი პარლამენტარი პარტიული სიების საშუალებით აირჩიეს, ხოლო ერთი – მაჟორიტარული წესით. არჩევნების შედეგები (იხ. ცხრილი 1) მიანიშნებს, რომ თითქმის ყველა პარტიული სიის მოწინავე კანდიდატებში ქალები ზუსტად იმ რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილები, რამდენსაც გენდერული კვოტა ავალდებულებდა პარტებს. პარტიული სიის კანდიდატების 44.3% ქალი იყო, თუმცა მათ პარლამენტში პარტიულ სიებით შესული კანდიდატების მხოლოდ 24.2% შეადგინეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალები უფრო მეტად პარტიული სიების ბოლოს იყვნენ წარმოდგენილები (სადაც პარლამენტში არჩევის შანსები უფრო დაბალია). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკის სფეროში ჯერ კიდევ კაცები დომინირებენ.

ცხრილი 1. ქალების წილი ბოლო მოწვევის პარლამენტში

	ქალების რაოდენობა	მანდატების რაოდენობა	ქალების წილი (%)
ქართული ოცნება	15	61	24.6%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	8	35	22.9%
ევროპული საქართველო	1	5	20%
ლელო	1	4	25%
სტრატეგია აღმაშენებელი	2	4	50%
პატრიოტთა ალიანსი	1	4	25%
გირჩი	1	4	25%
მოქალაქეები	0	2	0%
ლეიბორისტული ი პარტია	0	1	0%
სულ პარტიულ სიებში	29	120	24.2%
მაჟორიტარული მანდატი	1	30	3.3%
ჯამი	30	150	20%

წყარო: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (CESKO), ავტორთა გამოთვლები.

შენიშვნა: ციფრები ასახავს 2020 წლის 31 ოქტომბრისა და 21 ნოემბრის არჩევნების საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ შედეგებს. 2021 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით, არჩევნების შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, ამიტომ ეს რიცხვები შეიძლება არ ასახავდეს პარლამენტის ამჟამინდელ გენდერულ შემადგენლობას.


ქალები სხვა სახელისუფლებო თანამდებობებზე საქართველოში

თბილისს გარეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ მდგომარეობა უარესია, ვიდრე ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მცირედი პოზიტიური დინამიკა შეიმჩნევა, 2017 წლის ადგილობრივი არჩევნების მონაცემების მიხედვით, ადგილობრივ საკრებულოებში ქალების წილი საშუალოდ მხოლოდ 13.5%-ს შეადგენდა (აღსანიშნავია, რომ თბილისში ეს რიცხვი (20%) უფრო მაღალია).

ისტორიულად, საქართველოში ქალები სამინისტროებშიც ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილები: 2005-2009 წლებში მთავრობის მინისტრების დაახლოებით 8% ქალი იყო (იხ. გრაფიკი 3). 2009 წლიდან მინისტრ ქალთა რიცხვი გაიზარდა: 2019 წლის მონაცემებით, მინისტრების დაახლოებით ნახევარი (45%) ქალია. საინტერესოა, რომ ეს ზრდა თან ახლავს საქართველოს მთავრობის ზოგად რესტრუქტურირებას და მინისტრების რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას (2016 წელს მინისტრთა რაოდენობა 18 იყო, 2019 წელს კი – 11). აღსანიშნავია, რომ მინისტრის მოადგილის თანამდებობებზე გენდერული სხვაობა შედარებით დიდია. 2005-2017 წლებში მინისტრების მოადგილეების დაახლოებით 19% ქალი იყო. 2018-2019 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა მხოლოდ 30%-მდე.

გრაფიკი 3. საქართველოს მინისტრების გენდერული განაწილება, 2005-2019





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

სამინისტროებისგან განსხვავებით, ქალები კარგად იყვნენ წარმოდგენილი საერთო სასამართლოებში და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. ეს უკანასკნელი ძლიერი პოლიტიკური ორგანოა, მიუხედავად იმისა, რომ მის წევრებს მოსახლეობა არ ირჩევს. ამჟამად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 მოსამართლიდან 7 ქალია.

რატომ არიან ქალები ნაკლებად წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში?

ქართულ პოლიტიკაში ქალებისა და კაცების მონაწილეობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ მათ განსხვავებული ინტერესები და პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი აქვთ. ქართულ პოლიტიკაში ქალების დაბალ მონაწილეობაზე მოქმედი „მიწოდების მხარის“ ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია: ქალების დამოკიდებულება საარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკური გარემოს მიმართ, ოჯახური ტრადიციები, გენდერული როლების აღქმა საზოგადოებაში. ამ მოსაზრებას ამყარებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებიც (Serpe, 2012). კვლევის შედეგების მიხედვით, ქალების უმეტესობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკა „ბინძური“ საქმეა. ქალებს ისიც აწუხებთ, რომ კამპანია უარყოფითად

იმოქმედებს მათ შვილებსა და ოჯახზე. საოჯახო საქმეების ტრადიციული განაწილების მიხედვით, საოჯახო პასუხისმგებლობის ტვირთი ძირითადად ქალებს ეკისრებათ, რაც აბრკოლებს ქალებს, ჩაერთონ პოლიტიკაში. საქართველოში ქალები საშინაო საქმის შესრულების არაპროპორციულად მაღალი წილით გამოირჩევიან კაცებთან შედარებით, ხოლო ქალები, რომლებიც სრულ განაკვეთზე მუშაობენ, ორმაგად იტვირთებიან საოჯახო და სამსახურებრივი პასუხისმგებლობებით. გაეროს მოსახლების ფონდის (UNFPA) უახლესი გამოკითხვის (2020) თანახმად, საქართველოში საშინაო აქტივობები, როგორცაა დასუფთავება, საჭმლის მომზადება ან რეცხვა, ქალის მოვალეობას წარმოადგენს რესპონდენტთა 80%-ისთვის. რესპონდენტთა 49%-მა თქვა, რომ ოჯახში ბავშვის მოვლის საქმიანობა ქალის პრეროგატივაა, 43% კი აცხადებს, რომ ზემოხსენებული საქმეები ოჯახში ნაწილდება ქალებსა და კაცებს შორის. ქართულ პოლიტიკაში ქალების არასათანადო წარმომადგენლობა „მოთხოვნის“ მხარის ფაქტორებიც განაპირობებს: საზოგადოების მოლოდინები კანდიდატების მიმართ არათავსებადია მის გენდერულ მოლოდინებთან. აღნიშნული მიგნება განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოსთვის, სადაც ტრადიციული შეხედულებები, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ქალები, მნიშვნელოვნად განსხვავდება საზოგადოების აღქმისგან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ლიდერები. აღნიშნული დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კვლევის (2020) თანახმად, 2020 წელს რესპონდენტთა 60% მხარს უჭერდა ქალების ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნული მაჩვენებელი კი 10 პროცენტული პუნქტით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს (50%). ამ ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორი



პოლიტიკაში ქალების თანამონაწილეობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაა, განსაკუთრებით ქართველ ქალებში. 2020 წელს ქალების 72% თვლიდა, რომ ქალების პოლიტიკაში ჩართვა ქვეყნისთვის სასარგებლო იქნებოდა, აღნიშნული მაჩვენებელი 2013 წელს 56%-ს შეადგენდა. რესპონდენტთა პროცენტული განაწილება არ შეცვლილა კაცების შემთხვევაში (45% – 2020 წელს და 43% – 2013 წელს). ამავდროულად, 2020 წელს ქალი რესპონდენტების 37% და კაცი რესპონდენტების 62% ეთანხმებოდა დებულებას, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ვიდრე ქალები, როდესაც 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად, 56% და 69%-ს შეადგენდა. უფრო მეტიც, 2020 წელს ქალების 42% და კაცების 63% მიიჩნევდა, რომ პალიტიკა კაცის საქმეა. 2013 წელს აღნიშნულ მოსაზრებას ქალების 56% და კაცების 77% ეთანხმებოდა. ეს ცვლილება ცხადყოფს, რომ ბოლო 7 წლის განმავლობაში, ქართველების აღქმა და დამოკიდებულება ქალების საზოგადოებრივი ჩართულობის მიმართ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

დასკვნები და რეკომენდაციები

ქართულ კონტექსტში შესაძლოა რამდენიმე განსხვავებული მიდგომა იყოს რეკომენდირებული ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად. კერძოდ, გენდერული კვოტირების ამჟამინდელი სისტემის შენარჩუნება და გაფართოება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად. შემზღვეველი 25%-იანი კვოტა ბოლოდროინდელ საპარლამენტო არჩევნებში, სულ მცირე, ნაწილობრივ წარმატებული აღმოჩნდა და სამომავლოდ, შესაძლოა, პოლიტიკაში ქალების მეტ მიმდებლობას შეუწყოს ხელი. ქალების ჩართულობა ქართულ ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში კიდევ უფრო

დაბალია. ამდენად, კვოტირების სისტემა უფრო ეფექტური ადგილობრივ დონეზე უნდა იყოს.

გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ სამუშაო ძალაში ქალების გაზრდილი მონაწილეობა სავარაუდო კორელაციაშია ქალთა გაუმჯობესებულ პოლიტიკურ მონაწილეობასთან (Milazzo and Goldstein, 2019). ასეთი მაგალითები არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სკანდინავიურ ქვეყნებში, სადაც პარლამენტში ქალთა გაზრდილი მონაწილეობა ნაწილობრივ აიხსნებოდა შრომის ბაზარზე ქალების მაღალი მონაწილეობით 1960-იან წლებში (Dahlerup, 2005; Iversen and Rosenbluth, 2008).

ისტორიულად ჩამოყალიბებული გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც ხელს უწყობს აუნაზღაურებელი საშინაო შრომის არათანაბარ გადანაწილებას ქართულ ოჯახებში, ქალთა გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობის შემაფერებელი ცენტრალური ბარიერია (ურჩუხიშვილი, 2017). ამდენად, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკური ცვლილებების გატარება, რომლებიც აუნაზღაურებელი საშინაო შრომის ტვირთს უკავშირდება: მაგალითად, ბავშვთა და მოხუცთა მოვლის ხარისხიან სერვისებზე გაუმჯობესებულმა წვდომამ ქალებზე აუნაზღაურებელი საშინაო შრომის ტვირთი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეამციროს. ამავდროულად, მამაკაცთა მხრიდან დეკრეტული შვებულებით სარგებლობის წახალისებამ, შესაძლოა, არსებითი როლი ითამაშოს გენდერული სტერეოტიპების რღვევაში.

დაბოლოს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გასაზრდელად სახელმწიფო უწყებებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ქალთა გაძლიერებაზე ორიენტირებული მეტი ტრენინგ სერვისის მიწოდებას. მაგალითისთვის, ხშირად პოლიტიკური კამპანიის წარმართვის შესახებ ცოდნის ნაკლებობა ხელს უშლის ზოგიერთ



ქალს პოლიტიკურ აქტივობაში (OSCE ODIHR, 2014). ამ მიმართულებით, შესაძლოა, შეიქმნას ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული მეტი ტრენინგი, რომლებსაც პოლიტიკური კარიერის მქონე ქალები გაუძღვებიან. ამგვარი ტრენინგ პროგრამები სხვადასხვა დონეზე შეიძლება ჩატარდეს და მოიცვას საჯარო სკოლები, ზრდასრულთა საგანმანათლებლო პროგრამები, პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული კამპანიები.

არსებითია, აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ არცერთ ინტერვენციას არ შეუძლია პრობლემის მყისიერად მოგვარება, თუმცა აქვს პოტენციალი, გრძელ ვადაში გაზარდოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა.



გამოყენებული ლიტერატურა

- Bagues M. and Campa P., 2021. "Can Gender Quotas in Candidate Lists Empower Women? Evidence from a Regression Discontinuity Design", *Journal of Public Economics*, 194.
- Baltrunaite A., Bello P., Casarico A., Profeta P., 2014. "Gender Quotas and the Quality of Politicians", *Journal of Public Economics*, 118, pp. 62-74.
- Barbanchon T. and Sauvagnat J., 2019. "Electoral Competition, Voter Bias and Women in Politics". *CEPR Discussion Paper No. DP13238*.
- Besley T., Folke O., Persson T., Rickne J., 2017. "Gender Quotas and the Crisis of the Mediocre Man: Theory and Evidence from Sweden", *American Economic Review*, 107(8), pp. 2204-2242.
- Born A., Ranehill E., Sandberg A., 2019. "A man's world? – The impact of a male dominated environment on female leadership". *University of Gothenburg Working Paper*.
- Campa P. and Hauser Ch., 2020. "Quota or not Quota? On Increasing Women's Representation in Politics", *FREE Policy Brief Series*.
- Campa P. and Serafinelli M., 2019. *Politico-Economic Regimes and Attitudes: Female Workers under State-Socialism. Review of Economic and Statistics*, 101(2), pp. 233-248
- Childs S. and Kittilson M., 2016. "Feminizing political parties: Women's party member organizations within European parliamentary parties". *Party Politics*, 22(5):598-608.
- Dahlerup D., 2005. "No Quota Fever in Europe." In *The Implementation of Quotas: European Experiences*, edited by Ballington J., Binda F., 18–22. Stockholm, Sweden: International Institute for Democracy and Electoral Assistance".
- Esteve-Volart B. and Bagues M., 2015. "Politicians' Luck of the Draw: Evidence from the Spanish Christmas Lottery", *Journal of Political Economy*, 124(5), pp. 1269-1294.
- Folke O. and Rickne J., 2020. "All the Single Ladies: Job Promotions and the Durability of Marriage", *American Economic Journal: Applied Economics*, 12(1), pp. 260-287.
- Fox R. and Lawless J., 2004. "Entering the Arena? Gender and the Decision to Run for Office", *American Journal of Political Science*, 48(2), pp. 264-280.
- Gagliarducci S. and Paserman M. D., 2012. "Gender Interactions within Hierarchies: Evidence from the Political Arena", *The Review of Economic Studies*, 79(3), pp. 1021-1052.
- Inter-Parliamentary Union, 2020. "Women in National Parliaments".
- Iversen T., Rosenbluth F., 2008. "Work and Power: The Connection Between Female Labor Force Participation and Female Political Representation", *Annual Review of Political Science* 11: 479–95.
- Kantola J., 2019. "Women's Organizations of Political Parties: Formal Possibilities, Informal Challenges and Discursive Controversies", *NORA - Nordic Journal of Feminist and Gender Research*, 27(1), pp. 4-21.
- Krook M., 2018. "Electoral Systems and Women's Representation", In: E.S. Herron, R. Pekkanen, M. Soberg Shugart (eds.) *The Oxford Handbook of Electoral Systems*, New York: Oxford University Press, pp. 172-196.
- Milazzo, A. and Goldstein M. "Governance and Women's Economic and Political Participation: Power Inequalities, Formal Constraints and Norms", *The World Bank Research Observer*. May 17, 2019.
- National Democratic Institute (NDI), 2013. "Increasing Women's Political Participation through Effective Training Programs"
- Niederle M. and Vesterlund L., 2007. "Do women shy away from competition? Do men compete too much?", *The Quarterly Journal of Economics*, 122(3), pp. 1067-1101.
- OSCE ODIHR, 2014. "Handbook on Promoting Women's Participation in Political Parties." *OSCE.org*.
- Preece J. and Stoddard O., 2015. "Why women don't run: Experimental evidence on gender differences in political competition aversion", *Journal of Economic Behavior & Organization*, 117, pp. 296-308.
- Serpe, L., 2012. *Focus Group Findings on Perceptions of Women in Georgian Politics - An Assessment of Perceptions of Women as Political Candidates and Elected Officials*. International Foundation for Electoral Systems.
- Statistics Sweden (SCB), 2018. "På tal om kvinnor och män". ISBN: 978-91-618-1658-3 p.106.
- United Nations, 2020. *Gender Social Norms Index (GSNI)*.
- Urchukhishvili G., 2017 "Women in the Parties: Deconstructing Myths." *UNDP*.
- World Economic Forum, 2019. "Global Gender Gap Report 2020". ISBN-13: 978-2-940631-03-2.



ავტორებზე:

პამელა კამპა

სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების კვლევითი ინსტიტუტი (SITE)
pamela.campa@hhs.se
www.hhs.se/en/research/institutes/site/

პამელა კამპა სტოკჰოლმის გარდამავალი ეკონომიკების კვლევითი ინსტიტუტის (SITE) ასისტენტ-პროფესორია. სანამ SITE-ში დაიწყო მუშაობას, პამელა კალგარის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი იყო. პამელა ფლობს სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ეკონომიკის დოქტორის ხარისხს. პამელა არის მისტრას მდგრადი ბაზრების ცენტრისა (MISUM) და დონდენას გენდერული ინიციატივის წევრიც.

დავით კეშელავა

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი
d.keshelava@iset.ge
www.iset-pi.ge

დავით კეშელავა ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის მაკროეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის უფროსი მკვლევარია. იგი მაკროეკონომიკურ კვლევებზე მუშაობს და პასუხისმგებელია მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზის ყოველთვიური ანგარიშის მომზადებაზე, ეკონომიკურ თემებზე ბლოგების წერასა და კვლევით პროექტებზე მუშაობაზე. დავითი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტია და მისი კვლევითი ინტერესები უკავშირდება მაკროეკონომიკურ თეორიას,

ეკონომიკური ზრდის თეორიას, განვითარების ეკონომიკასა და გენდერულ ეკონომიკას.

სალომე დეისაძე

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი
s.deisadze@iset.ge
www.iset-pi.ge

სალომე დეისაძე ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების კვლევითი ცენტრის უფროსი მკვლევარია. ამავდროულად სალომე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტიცაა. სალომეს კვლევითი ინტერესები მოიცავს სოფლის მეურნეობას, სოფლის განვითარებასა და სოციალური პოლიტიკის ანალიზს.

ლევან თევდორაძე

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი
levan.tevdoradze@iset.ge
www.iset-pi.ge

ლევან თევდორაძე ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის კერძო სექტორის განვითარების კვლევითი ცენტრის მკვლევარია. ლევანი ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების მაგისტრისა (2020) და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის (2017) ხარისხებს.

მადლიერების გამოხატვა

ავტორებს სურთ, მადლობა გადაუხადონ იაროსლავა ბაბიჩს, კრისტინა ჰოლინსკას, მიკალ მიკსა და მონიკა ოსზოვსკას სასარგებლო კომენტარებისთვის და კაეტან ტრზჩინსკის რედაქტირებისთვის.

freepolicybriefs.com

აღმოსავლეთ ევროპისა და განვითარებადი ეკონომიკების კვლევის ფორუმი (FREE) არის ეკონომიკის აკადემიური ექსპერტების ქსელი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში: BEROC (მინსკი), BICEPS (რიგა), CEFIR/NES (მოსკოვი), CenEA (შეჩინი), ISSET (თბილისი), KSE (კიევი) and SITE (სტოკჰოლმი). 2019 წელს, FREE ქსელმა, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით, საფუძველი ჩაუყარა გენდერული ეკონომიკის კვლევის ფორუმს (FROGEE). FROGEE-ის ინიციატივით გამოქვეყნებული პუბლიკაციები ხელს უწყობს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გენდერული უთანასწორობის ირგვლივ დისკუსიების წამოწყებას. FREE ქსელის ფარგლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები წარმოადგენენ ავტორების მოსაზრებებს და არ არის აუცილებელი, რომ ასახავდნენ FREE ქსელის, შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტების ან Sida-ს შეხედულებებს.

